

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

A handwritten signature in blue ink, written over a horizontal line.

კახაბერ კირტავა

29. _04_. 2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N8/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	7
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	8
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	16
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	17



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სამინისტრო ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსულობებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირების მიერ არასწორადაა ასახული საბალანსო მონაცემებში 57 065 ლარი.

➤ სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრის“ მიერ აუდიტის პერიოდში გაწეული ხარჯების ანალიზით ირკვევა, რომ 34 790 ლარის ღირებულების



შემენილი და ექსპლუატაციაში გადაცემული აქტივები¹ არ არის ასახული 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებაში, რითაც დაღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მერვე პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

➤ სსიპ „აჭარის ხელოვნების მუზეუმის“ მიერ 2014 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული N26 ხელშეკრულებით, ინდ.მეწარმე „ხათუნა კუნჭულია“-სგან შესყიდული 16 780 ლარის ღირებულების ფარდა ჟალუზები, ნაცვლად ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო ნაშთად აღრიცხვისა, ჩამოწერილია და მიკუთვნებულია ოფისის ხარჯებზე, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მერვე პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

➤ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრსა“ და ინდ.მეწარმე „ვახტანგ ნარსიას“ შორის, თეატრის განათების სისტემის შეკეთების სამუშაოებთან დაკავშირებით, 2014 წლის 2 მაისს გაფორმებულია N74 ხელშეკრულება, 1 700 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. წარმოდგენილი მტკიცებულებებით² ირკვევა, რომ შესასრულებელია განათების აპარატურის კაპიტალური რემონტის და სპექტაკლის ხარისხიანი განათებისათვის არხების გაყვანის სამუშაოები, თუმცა ხელშეკრულებასა და სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტში³ არ არის იდენტიფიცირებული შესასრულებელი და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დასახელება და მოცულობა. სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებელზე გადახდილია სრულად, თუმცა

¹ 223 - ოფისის ხარჯები: განათების აქსესუარები -15 640 ლარი, გახმავანების აქსესუარები- 2 440 ლარი, სატელეფონო ხაზი - 240 ლარი; 227- რბილი ინენტარის ხარჯები: ტანსაცმელი-3 250 ლარი; 2210-სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები: -ფოტო და ვიდეო მასალა 10 320 ლარი, ფონოგრამა-2 900 ლარი.

² თეატრის უფროსი გამნათებლის მოხსენებითი ბარათი.

³ ხელშეკრულებას, საგადახდო დავალებას და ვალდებულების დოკუმენტს ხელს აწერს თეატრის დირექტორი ლევან წოწორია, მიღება-ჩაბარების აქტს თეატრის უფროსი გამნათებელი მამუკა ჯღარკავა.



ნაცვლად აქტივებში ასახვისა, თანხა ჩამოწერილია ხარჯებში, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, 23-ე მუხლის მეხუთე პუნქტის და 24-ე მუხლის მეთოთხმეტე პუნქტის მოთხოვნები.

➤ ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის“ მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან, სკოლის შენობის სახურავის⁴ სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯული 3 795 ლარი, ნაცვლად კაპიტალიზაციისა მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, 23-ე მუხლის მეხუთე პუნქტის და 24-ე მუხლის მეთოთხმეტე პუნქტის მოთხოვნები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ „სპორტის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, სოციალური დახმარების მუხლში არასწორად არის ასახული 62 600 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს სოციალური დახმარების (კოდი 272) მუხლით 2014 წელს გაწეული აქვს 62 600 ლარის საკასო ხარჯი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ აღნიშნული ხარჯები არასწორად არის ასახული სოციალური დახმარების მუხლში, რადგან იგი მოიცავს „სპორტის ხელშეწყობის“ მიზნობრივი პროგრამისათვის⁵ გათვალისწინებულ ხარჯებს, კერძოდ:

- „საპენსიო ასაკის, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორებისათვის, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა“ ფინანსური მხარდაჭერისათვის 43 800 ლარი.

⁴ შენობა უსასყიდლო უზურფრუქტით გადმოცემულია თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს მიერ.

⁵ პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას; კოდი N061201-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს მართვა, კოდი N061202-სპორტის ხელშეწყობა და კოდი N061203-ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა.



- „საპენსიო და არასაპენსიო ასაკის სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნასთან დაკავშირებით“ ერთჯერადი მატერიალური მხარდაჭერისათვის 11 800 ლარი.

- „საპენსიო და არასაპენსიო ასაკის სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა გარდაცვალების შემთხვევაში“ ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარება 7 000 ლარი.

3. სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ მიერ 645 659 ლარის ღირებულების აქტივებზე არ არის ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით ⁶ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციით ირკვევა, რომ 501 909 ლარის ღირებულების გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებზე და ხარჯებში ჩამოწერილ 143 780 ლარის ღირებულების მარაგებზე არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

⁶ 2014 წლის 20 მარტის N49 ბრძანება.



მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

აქტივების მართვა

➤ სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ ფინანსური ანგარიშგებით 2014 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 55 983 ლარს, მათ შორის საკუთარი სპექტაკლებიდან 11 107 ლარს, თეატრის დარბაზით მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 43 897 ლარს, ხოლო საბილეთო წიგნების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 979 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ თეატრის მიერ არ არის შედგენილი დარბაზის მომსახურებასთან დაკავშირებით ფასის განსაზღვრის კალკულაციები, 4 შემთხვევაში⁷ დამკვეთებზე (ლონისძიების ჩატარების პირობებში) მიწოდებულია მხოლოდ საბილეთო წიგნი და როგორც სხვა შემთხვევებში, არ არის განსაზღვრული მომსახურების ღირებულება (შემდგომში გადახდა), ხოლო 12 შემთხვევაში დამკვეთებზე მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია არაერთგვაროვანი მიდგომით, სხვადასხვა ფასებით⁸.

➤ ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის“ 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 75 285 ლარს, მათ შორის სკოლის შენობაში ლონისძიების ჩატარებისათვის გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 55 440 ლარს. მომსახურებასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში მოსახურების საგნად მითითებულია დროის (დღისა და საათის მითითებით) გარკვეულ მონაკვეთში ტექნიკური და მომსახურე პერსონალით უზრუნველყოფა და შესაბამისი ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ ადგილი აქვს ხელშეკრულებებში გასაწევი მომსახურების არასრულყოფილად ასახვას, გადასახდელი ფასების განსაზღვრის არაერთგვაროვან მიდგომას, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა პირების მიერ დარბაზით მომსახურებისათვის გადასახდელი (შემდგომში უკვე გადახდილი) თანხები, კერძოდ: ერთი საათის მომსახურებისათვის

⁷ გრიბოედოვის თეატრი-180 ლარი, 3 საბილეთო წიგნი; ი.მ. „ლუკა ლუკავა“-480 ლარი-8 საბილეთო წიგნი; ა(ა)იპ „თავისუფალი თეატრი“-240 ლარი-4 საბილეთო წიგნი.

⁸ ინდ მეწარმე სოფიო სვანიძეზე მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 800 ლარი, ა(ა)იპ „საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი რუსული კლუბზე“- მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 3 000 ლარით, შპს „აბკ სტუდია“-ზე მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 1 500 ლარი, შპს „სკოლა ლიცეუმი მასტერკლასი“-მომსახურების ღირებულება 1000 ლარი და სხვა.



გადახდილი აქვს ა(ა)იპ „სპორტულ კლუბ „არმია“-ს (ხელშ N1-09/01/2014წ) 50 ლარი; ფიზიკურ პირ „ირაკლი სურმანიძეს“ (ხელშ N1/1-09/01/2014 წ) 1,87 ლარი; ფიზიკურ პირ „ავთანდილ დალანჩიევს“ (ხელშ N4-28/01/2014 წ) 3,38 ლარი; ა(ა)იპ საჭადრაკო სკოლა „ნონას“ (ხელშ N14-01/05/2014 წ) 3,26 ლარი; „საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას“ (ხელშ N16-20/05/2014 წ) 19,23 ლარი; აჭარის ა.რ მიუდოს ფედერაციას (ხელშ N23-08/07/2014 წ) 12,5 ლარი; ფიზიკურ პირ ლიუდმილა ტიტოვას (ხელშ N24-04/08/2014 წ) 26,78 ლარი და სხვა.

ორგანიზაციული და პერსონალის მართვა

➤ სსიპ „მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 55 853 ლარს, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ანსამბლში ფუნქციონირებად 5 სასწავლო სტუდიაში ჩარიცხული ბავშვების სწავლის საფასურს. აუდიტის პერიოდში სახელმწიფო ანსამბლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია 2014 წლის 1 იანვრის და შემდგომ პერიოდში (2014 წლის 1 ნოემბრამდე) სტუდენტებში ფაქტობრივად რიცხულ მოსწავლეთა რაოდენობისა და მათ მიმართ ცალკეულ პერიოდში რიცხული დავალიანებების შესახებ.

➤ სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ ხორუმის“ 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 25 608 ლარს, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ანსამბლში ფუნქციონირებად სასწავლო სტუდიაში ჩარიცხული ბავშვების სწავლის საფასურს. აუდიტის პერიოდში, სახელმწიფო ანსამბლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია 2014 წელს სტუდენტებში ფაქტობრივად რიცხულ მოსწავლეთა რაოდენობისა და მათ მიმართ ცალკეულ პერიოდში რიცხული დავალიანებების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვები

➤ სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის“ მიერ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁹ მეორადი ავტოსატრანსპორტო საშუალების (ჯიპი) შესყიდვის მიზნით, სავარაუდო ღირებულებით 15 500 ლარი.

⁹ SPA140009025



სატენდერო დოკუმენტაციით, სხვა პარამეტრებთან ერთად, განსაზღვრული იყო შესასყიდი ავტომანქანის კონკრეტული მახასიათებლები: ძრავის მოცულობა 3000 კუბ.სმ; სიგრძე არა ნაკლებ 4440 მმ, სიგანე არანაკლებ 1805 მმ, სიმაღლე არა ნაკლებ 1730 მმ, აგრეთვე ხელშეკრულების პროექტში¹⁰ დაფიქსირებული იყო, რომ მიმწოდებელი იძლევა მიწოდებულ საქონელზე არანაკლებ 5 წლიან გარანტიას ულიმიტო გარბენით¹¹. ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად და გაუფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება¹² 15 500 ლარზე, საიდანაც ამოღებული იქნა საქონლის საგარანტიო მოთხოვნები. მიწოდებული¹³ ავტოსასტრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტით ირვევა, რომ ძრავის მოცულობაა 3 350 კუბ.სმ¹⁴, რაც შეუსაბამობაშია სატენდერო და სახელშეკრულებო მოთხოვნებთან.

➤ სსიპ „მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი¹⁵ შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების შესახებ, სავარაუდო ღირებულებით 736 500 ლარი, რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიწოდებულია შპს „აჭარსპეცპროექტის“ მიერ. წარმოდგენილი პროექტით ირკვევა, რომ სამშენებლო სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 709 026 ლარს, ხოლო ტექნიკური,¹⁶ საავტორო ზედამხედველობის და გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 27 859¹⁷ ლარს, აღნიშნულის გათვალისწინებით სულ საპროექტო ღირებულება განისაზღვრა 736 885 ლარით. გამომდინარე იქედან, რომ გამოცხადებული ტენდერი ითვალისწინებდა დღგ-ს ჩათვლით 709 026 ლარის¹⁸ მხოლოდ სამუშაოების შესრულებას, ამდენად საავტორო ზედამხედველობის და გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულების ხარჯზე ტენდერის სავარაუდო ღირებულება გაზრდილი იქნა¹⁹ 27 474 ლარით.

¹⁰ ხელშეკრულების პროექტის 7.4 პუნქტი.

¹¹ ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს აღნიშნული წუნის აღმოფხვრა.

¹² ხელშეკრულება N84 15.04.2014წ.

¹³ ავტოსასტრანსპორტო საშუალები მიღება-ჩაბარების აქტი 18 არპილი 2014 წელი. გარბენი აპრილის მონაცემებით 190 000 კვ.

¹⁴ PONTIAC TORRENTO სახელმწიფო ნომრით UJU861

¹⁵ SPA 140013299

¹⁶ ტექნიკური ზედამხედველობით მომსახურებისათვის შემსყიდველს შპს „ვექტორისათვის“ გადახდილი აქვს 3000 ლარი

¹⁷ $23610 + 18\% = 27859$ ლარი.

¹⁸ გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ამაგი“, ხელშეკრულება N16 7.07.2014წ-639 965 ლარი..

¹⁹ $736500 - 709026 = 27474$



როგორც სატენდერო დოკუმენტაციით, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო, რომ საავანსო ანგარიშსწორება განხორციელდებოდა ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული იქნებოდა ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შეუსრულებლობის პირობებში, მიმწოდებლის თხოვნით, მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების²⁰ შედეგად, საავანსო ანგარიშსწორება 30-პროცენტიდან გაზრდილი იქნა 55-პროცენტამდე²¹.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლის 10 დეკემბერს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნა 639 965 ლარის ღირებულების სამუშაოების დასრულების აქტი, ხოლო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით²² დადგენილია, რომ ფაქტობრივად შესრულებულია 10 749,1 ლარით ნაკლები, 629 215,8 ლარის სამუშაოები²³. ხელშეკრულების 5.5 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ თუ საექსპერტო დასკვნით შესრულებული სამუშაოების მოცულობა და რაოდენობა არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წუნდების აღმოფხვრამდე და არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა, რაც შემსყიდველის მიერ არ იქნა გათვალისწინებული, მიღებული იქნა სამუშაოები და გადახდილია მიმწოდებელზე 629 215,8 ლარი²⁴. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოების შეუსრულებლობის პირობებში შემსყიდველის მიერ არ იქნა გამოყენებული საბანკო გარანტია (16 000 ლარი) და დაბრუნებულია მიმწოდებელზე, ხოლო ხელშეკრულების 10.4 პუნქტი ითვალისწინებდა, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო საბოლოო ანგარიშსწორებამდე შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში წარედგინა საგარანტიო პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 30 000 ლარის ოდენობით, რაც შემსყიდველის მიერ არ იქნა მოთხოვნილი²⁵.

²⁰ მხარეთა შორის შეთანხმება 24.09.2014წ.

²¹ მიმწოდებლის მიერ 2014 წლის 24 სექტემბერს წარმოდგენილი იქნა 153 576.3 ლარის სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა N2), რის შემდგომაც მიმწოდებელზე გადახდილია ავანსად 54,69%- 350 000 ლარი.

²² ექსპერტიზის დასკვნა N007090814

²³ მათ შორის სცენის მოწყობა და სხვა აპარატურის მიწოდება

²⁴ აღნიშნული მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს სახით დაკისრების თავიდან არიდებაზე მიუთითებს $10749 \cdot 0,5\% = 1\,128,6$ ლარი.

²⁵ დარღვეულია ხელშეკრულება N16 7.07.2014წ. 10.4 პუნქტის მოთხოვნები



➤ „საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის²⁶“ 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით გაწეული ხარჯების ანალიზით ირკვევა, რომ „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით 19 შემთხვევაში²⁷ 40 875 ლარით შესყიდული სხვადასხვა ავტორის წიგნის ბეჭდვის მომსახურება განხორციელებულია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, რითაც დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტის მოთხოვნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ბეჭდვის მომსახურების 19 შემთხვევიდან, 18 შემთხვევაში, 38 575 ლარის ღირებულების შესყიდვა განხორციელებულია სს „გამომცემლობა აჭარის“ მიერ, რომლის დირექტორი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით ამავე დროს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელია.

➤ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ 2014 წლის 16 მაისს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი²⁸ სპორტული ფორმების შესყიდვასთან დაკავშირებით, სავარაუდო ღირებულებით 186 000 ლარი, სადაც მითითებულია მისაწოდებელი ფორმების დიზაინი და ტექნიკური მახასიათებლები. ²⁹ ვაჭრობის დაწყებამდე, 2014 წლის 19 მაისს სატენდერო დოკუმენტაციაში განხორციელდა ცვლილება და შეიცვალა მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები, კერძოდ, ამოღებული იქნა სპორტული კოსტუმისა და შარვალის 80%-იანი ბამბის შემცველობა, ფეხსაცმლის (ბოტასის) გაორმაგებული ტყავის ჩაკერება შეიცვალა გაორმაგებული სინთეტიკური ტყავით და ჩაემატა მოთხოვნა 1კვ.მ ნაჭერის გრამობა განისაზღვრა 200-230 გრ.-ით, თუმცა მიუხედავად ხარისხობრივი მაჩვენებლების შემცირებისა სავარაუდო ღირებულება არ შეცვლილა. ვაჭრობის შედეგებით, ყველაზე უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტად გამოვლინდა შპს „ქართული ტექსტილი“, ღირებულებით 132 999 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შემსყიდველის მიერ 2014 წლის 28 მაისის ჩათვლით, მოთხოვნილი იქნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ³⁰ დასაბუთება რომელიც

²⁶ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარეა დავით თედორაძე (პირადი N61001007697), რომელიც ამავე დროს არის მიმწოდებლის შპს „გამომცემლობა აჭარა“-ს დირექტორი.

²⁷ სს „გამომცემლობა აჭარიდან 18 შემთხვევაში 38 573 ლარი, შპს „ხომლიენ“-დან ერთ შემთხვევაში 2300 ლარი.

²⁸ SPA140012771

²⁹ სპორტული კოსტუმი, შარვლით - ქსოვილი 100% პოლიესტერი, კოსტუმის შიდა სარჩული, არანაკლებ 80% ბამბა; სპორტული შარვლის სარჩული ნასვრეტებიანი ბადით, არანაკლებ 80% ბალმბა; ფეხსაცმელი (ბოტასი) - გაორმაგებული ტყავის ჩაკერებით ბოტასის წინა მხარეს.

³⁰ სავარაუდო ღირებულება შემცირდა 20%-ზე მეტით.



გაცემული უნდა ყოფილიყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ. 2014 წლის 27 მაისს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნა კორესპოდენცია ექსპერტიზის მიმართვასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ დროის სიმცირის გამო ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, აღნიშნულის საფუძველზე შემსყიდველის მიერ შეწყვეტილი იქნა ტენდერი.

2014 წლის 2 ივნისს, განმეორებით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. პირველ ეტაპზე გამოცხადებულ პირობებთან შედარებით შეცვლილი პარამეტრებისა³¹ და შეწყვეტილი სატენდერო ფასების დაფიქსირების მიუხედავად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დარჩა უცვლელი 186 000 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა, რომ შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადგინდება მისაწოდებელი საქონლის შესაბამისობა ტექნიკურ³² მახასიათებლებთან. ტენდერის დასრულების შემდგომ 104 999 ლარით გამარჯვებულად გამოცხადდა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „მ.ნ.კ.“ და გაუფორმდა ხელშეკრულება.³³ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ საქონლის ხარისხთან დაკავშირებით, შპს „მ.ნ.კ.-ს“ მიერ 2014 წლის 8 და 24 ივლისს წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები³⁴ ერთი ცალი ქსოვილის ნაჭრის, ერთი ცალი სპორტული კოსტუმისა და შარვლის ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით, თუმცა სპორტულ ფორმებზე (კოსტუმი, შარვლით) მოთხოვნილია და წარდგენილია საექსპერტო დასკვნა (სასაქონლო ფორმით ჩატარებულ სპორტულ ტანსაცმელზე განხორციელებულ დასკვნაში აღნიშნულია რომ, საქონელი ძირითადად შესაბამისობაშია ტექნიკურ მახასიათებლებთან მისი სახეობისა (ქსოვილის შემადგენლობა) და წონის გათვალისწინების გარეშე), ამასთან საერთოდ არ იქნა მოთხოვნილი და წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნები მაისურთან (რომელი ქსოვილი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 80% ბამბა), ლაზადასთან (რომელიც უნდა ყოფილიყო 100% პოლიესტერი) და ფეხსაცმელთან დაკავშირებით, რითაც დადასტურდებოდა მისაწოდებელი და ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლების ურთიერთშესაბამისობა.

³¹ ამოღებული იქნა სპორტული კოსტუმისა და შარვლის 80%-იანი ბამბის შემცველობა.

³² ტექნიკური მახასიათებლები განსაზღვრული იყო შესაბამისი დანართი N2-ით

³³ ხელშეკრულება N151 12.06.2014წ-104 999 ლარი, რაც გადახდილია სრულად.

³⁴ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა N003157214 და N003763314.



ბიუჯეტის შედგენა -შესრულება ხარჯები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატის 2014 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით, გათვალისწინებულია 7 971 114 ლარის საკასო ხარჯის გაწევა. ფაქტობრივად გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 7 633 177 ლარს (გეგმის 95,76%). ცალკეული კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული საკასო ხარჯები შემდეგია:

- **შრომის ანაზღაურება** - 1 162 578 ლარი (გეგმის 99,92%), მათ შორის თანამდებობრივი სარგო 679 771 ლარი, პრემია 482 807 ლარი, რაც თანამდებობრივი სარგოს 71,02 %-ს შეადგენს. სამინისტროს აპარატში პრემიების გაცემა ხდებოდა თითოეულ თანამშრომელზე რიგ შემთხვევებში თვეში საშუალოდ თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით, ხოლო ყოველკვარტალურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.
- **საქონელი და მომსახურება** - 317 926 ლარი (გეგმის 87,77 %), მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 34 121 ლარი, მივლინება - 16 440 ლარი, ოფისის ხარჯები - 93 413 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯი -12 589 ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები -59 123 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 102 240 ლარი.
- **სოციალური უზრუნველყოფა** - 42 729 ლარი (გეგმის 99.99 %). აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია სამინისტროს აპარატის თანამშრომელთა შრომისუუნარობის ხარჯები.
- **სხვა ხარჯები** - 6 041 083 ლარი (გეგმის 95,49 %). აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია სამინისტროს პროგრამები და ღონისძიებები.

საკასო და ფაქტობრივი ხარჯების შესრულება წარმოდგენილია ცხრილის სახით.


სტრიქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (7-6)
1	2	4	5	6	7	8
010	1. ხარჯები	7 765 895.00	7 894 483.00	7 564 316.00	7 237 821.00	(326 495.00)
020	1.1 შრომის ანაზღაურება	1 176 295.00	1 163 490.00	1 162 578.00	1 162 578.00	-
030	1.1.1 ხელფასები	-	-	1 162 578.00	1 162 578.00	-
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	1 162 578.00	1 162 578.00	-
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო			679 771.00	679 771.00	-
070	1.1.1.1.3 პრემია			482 807.00	482 807.00	-
150	1.2 საქონელი და მომსახურება	379 925.00	362 208.00	317 926.00	307 086.00	(10 840.00)
160	1.2.1 შტატგარეშე	38 340.00	38 340.00	34 121.00	34 121.00	-



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

	მომუშავეთა ანაზღაურება					
170	1.2.2 მივლინებები	28 000.00	28 000.00	16 440.00	16 440.00	-
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	103 770.00	94 430.00	93 413.00	75 174.00	(18 239.00)
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	25 000.00	25 000.00	12 589.00	12 589.00	-
230	1.2.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	73 900.00	69 540.00	59 123.00	60 540.00	1 417.00
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	110 915.00	106 898.00	102 240.00	108 222.00	5 982.00
260	1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება				51 713.00	51 713.00
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა		42 733.00	42 729.00	42 729.00	-
500	1.7.2 სოციალური დახმარება		-	18 000.00	18 000.00	-
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით			18 000.00	18 000.00	-
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება		-	24 729.00	24 729.00	-
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით			24 729.00	24 729.00	-
560	1.8 სხვა ხარჯები	6 209 675.00	6 326 052.00	6 041 083.00	5 673 715.00	(367 368.00)
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	-	-	6 041 083.00	5 673 715.00	(367 368.00)
630	1.8.2.1 მიმდინარე			2 749 996.00	2 596 436.00	(153 560.00)
640	1.8.2.2 კაპიტალური			3 291 087.00	3 077 279.00	(213 808.00)

• არაფინანსური აქტივების ცვლილება - 60 606 ლარი (გეგმის 88,63 %).
დაზუსტებული ბიუჯეტის შეუსრულებლობა გამოწვეულია ტენდერის შედეგად პრეტენდენტების მიერ ფასების შემცირებით.
გაწეული ხარჯების საკასო შესრულება წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით.





მოთხოვნები

სამინისტროს საბალანსო მონაცემებით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება 465 223 ლარის მოთხოვნები, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია და ირიცხება 802 004 ლარი, მათ შორის: - შპს „ნიუ კონსტრაქშენი“ 235 824 ლარი, ი.მ „ოჩა აბაშიძე“ 207 000 ლარი და სხვა. დავალიანებები წარმოშობილია საგარანტიო უზრუნველყოფის საფუძველზე თანხების ავანსად გადახდით.

ვალდებულებები

სამინისტროს საბალანსო მონაცემებით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება 8 414 ლარის ვალდებულებები, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია და ირიცხება 69 738 ლარი, მათ შორის შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2014 წელში გადაუხდელობისათვის შპს „გიაზე“ დავალიანებად ირიცხება 58 679 ლარი, ხოლო 11 059 ლარი შეადგენს 2014 წლის კომუნალურ გადასახდელებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის ხელმძღვანელი/

ნადიმ ბოლქვაძე

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის წევრი/

გურამ დუმბაძე

29.04.2015წ.



ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

**ორგანიზაციის
ბალანსი**

ორგანიზაციის დასახელება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაზათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ჩაბარების ვადა _____

ჩაბარა _____
(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2015 წლის 01 იანვრის მდგომარეობით



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

კოდი	აქტივები	მდგომარეობის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის დასასრულისათვის
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	წალღი ფული საღარიბოში გროვრულ ვალუტაში	1110		
020	წალღი ფული საღარიბოში ფიგნოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში გროვრულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში ფიგნოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში გროვრულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში ფიგნოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სადეპოზიტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფინანსი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული უარიშებით, სამქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაჯლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტრით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვეო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	398568	759164
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		38915
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაჯლისებით	1440		
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მოქმედეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	66655	3925
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სურატყვეული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	67007	53036
410	შენიშნა-ნაგებობები	2110	327387	329160
420	მანქანა-დანადგარები და ინჟინტარი	2120	240946	215754
430	სხვა მირითადი აქტივები	2130		14088
440	დაუმთავრებული მირითადი აქტივი	2140		
450	გრძელვადიანი მეროქებაიანი აქტივები	2200	46044	58740
460	ფინანსოვლები	2300		
470	არაწარმოებული აქტივები	2400	95008	95008
	ბალანსი		1241615	1567790



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიში ს. ნომერი	ნამთი წლის დანაწესისათვის	ნამთი წლის (გვარტლის) ნოლსი
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მიმსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	3895.00	66675
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	4519.00	401
510	ვალდებულებები წარტრით	3230		
520	გადასახდელი მოვლების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღე	3242		
540	გადასახდელი სამედიცინო გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ზოგჯერ წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ზოგჯერ წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		2663
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დახმარების ანაზღაურებები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მიმსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება			
760	საანგარიშებო პერიოდის მოგება "ზარალი"	5100	1233201	1498051
770	გაუნაწილებელი მოგება	5210		
780	დაუფარავი "ზარალი"	5220		
	ბალანსი	5230		
			1241615	1567790
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული თანახმობები	01		
800	პროცენტები მანქანები მიღებული მატერიალური თანხები	02		
810	გადახდებულ სხვა დამატებითი სამუშაოები დაავალიანება	03		
820	ხარჯები ჩამოწერილი მარგები სასალონო საკადასტრო	04	1913	1913
830	პროცენტები მიღებული	05		
840	პროცენტები მიღებული	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	პროცენტები მიღებული ძირითადი აქტივები	08	35211	68745
870	გადახდებული დავალიანებები	09		
880	გადახდებული დავალიანები ჩამოწერილი გრძელვადიანი მიწისფასები	10	32250	32250
890	გადახდებული დავალიანები მიწისფასები	11		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ნ.ა.

* აღნიშნული სტრუქტურის მომსახურების ვალდებულებები და კაპიტალი უკავშირდება



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კოდი: _____

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015 წლის 01 იანვრისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრიქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმა	სამგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	გადახდილი	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	7,765,895.00	7,894,483.00	7,566,865.00	7,564,316.00	7,564,316.00	7,237,821.00	(326,495.00)
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1,176,295.00	1,163,490.00	1,162,916.00	1,162,578.00	1,162,578.00	1,162,578.00	-
030	1.1.1 ხელფასები	211	-	-	1,162,916.00	1,162,578.00	1,162,578.00	1,162,578.00	-
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	-	-	1,162,916.00	1,162,578.00	1,162,578.00	1,162,578.00	-
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი ხარჯი	21111	-	-	680,109.00	679,771.00	679,771.00	679,771.00	-
060	1.1.1.1.2 წოდებრივი ხარჯი	21112	-	-	-	-	-	-	-
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	-	-	482,807.00	482,807.00	482,807.00	482,807.00	-
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	-	-	-	-	-	-	-
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115	-	-	-	-	-	-	-
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	-	-	-	-	-	-	-
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112	-	-	-	-	-	-	-
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	-	-	-	-	-	-	-
130	1.1.2.1 ფაქტობრივად გამოირიცხებული სოციალური შენატანები	2121	-	-	-	-	-	-	-
140	1.1.2.2 პერიოდულად გამოირიცხებული სოციალური შენატანები	2122	-	-	-	-	-	-	-
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	379,925.00	362,208.00	318,654.00	317,926.00	317,926.00	307,086.00	(10,840.00)
160	1.2.1 მატერიალურ მომუშავეთა ანაზღაურება	2201	38,340.00	38,340.00	34,121.00	34,121.00	34,121.00	34,121.00	-
170	1.2.2 მიწის ნაკვეთები	222	28,000.00	28,000.00	17,168.00	16,440.00	16,440.00	16,440.00	-
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	103,770.00	94,430.00	93,413.00	93,413.00	93,413.00	75,174.00	(18,239.00)
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	25,000.00	25,000.00	12,589.00	12,589.00	12,589.00	12,589.00	-
200	1.2.5 კვების ხარჯები	225	-	-	-	-	-	-	-
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	-	-	-	-	-	-	-
220	1.2.7 რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	227	-	-	-	-	-	-	-
230	1.2.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის შესაძენად და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	73,900.00	69,340.00	59,123.00	59,123.00	59,123.00	60,540.00	1,417.00



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

240	1.2.9 საშენობო ტექნიკის და ტერიტორიის მოვლა	229							
250	1.2.10 სხვა დანართები საკონსტრუქციო და მომსახურება	2210	110,915.00	100,098.00	102,240.00	102,240.00	102,240.00	108,722.00	5,982.00
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						51,713.00	51,713.00
270	1.4 პროექტები	24							
280	1.4.1 საგარეო ელექტროენერგია	241							
290	1.4.1.1 ობიექტის კონსტრუქციები	2411							
300	1.4.1.2 ელექტროენერგიის მოხმარება	2412							
310	1.4.1.3 კომუნიკაციების მოხმარება	2413							
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ელექტროენერგიის მოხმარება	2414							
330	1.4.2 საშენობო ელექტროენერგია, გარე სახელმწიფო ელექტროენერგია	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ელექტროენერგიის მოხმარება	243							
350	1.5 ხელისუფლება	25							
360	1.6 გრანტები	26							
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ელექტროენერგია	263							
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27		42,732.00	42,732.00	42,729.00	42,729.00	42,729.00	
470	1.7.1 სოციალური დასაქმება	271							
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2 სახელმწიფო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დასაქმება	272			18,000.00	18,000.00	18,000.00	18,000.00	
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721			18,000.00	18,000.00	18,000.00	18,000.00	
520	1.7.2.2 სახელმწიფო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამატებითი მომსახურების მიწის ტექნიკური სოციალური დასაქმება	273			24,732.00	24,729.00	24,729.00	24,729.00	
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731			24,732.00	24,729.00	24,729.00	24,729.00	
550	1.7.3.2 სახელმწიფო ფორმით	2732							

560	1.8 სხვა ხარჯები	28	6,200,675.00	6,206,052.00	6,042,563.00	6,041,083.00	6,041,083.00	5,673,715.00	(367,368.00)
570	1.8.1 კომუნიკაციების დასაქმების ხარჯები, გარე სახელმწიფო	281							
580	1.8.1.1 ელექტროენერგია	2811							
590	1.8.1.2 დანიშნული კომუნიკაციების მომსახურების დასაქმების ხარჯები	2812							
600	1.8.1.3 კომუნიკაციების დასაქმების ხარჯები, გარე სახელმწიფო	2813							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282			6,042,563.00	6,041,083.00	6,041,083.00	5,673,715.00	(367,368.00)
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821			2,751,476.00	2,749,956.00	2,749,956.00	2,596,436.00	(155,520.00)
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822			3,291,087.00	3,291,087.00	3,291,087.00	3,077,279.00	(213,808.00)

მოქმედების შედეგები და შედეგების მიმოხილვის რეზიუმე				
მოქმედების შედეგები		შედეგების მიმოხილვის რეზიუმე		
მოქმედების შედეგები	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე
1. შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე
2. შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე	შედეგების მიმოხილვის რეზიუმე

ფაქტობრივ დასაბუთებულ პირთა რეზიუმე გარდათქმის საბუთებში პერიოდის განმავლობაში შედგენის მიზნით დასაბუთებულ პირთა საშუალო რაოდენობით. მასშტაბით პერიოდის განმავლობაში ცალკეულ პირთა მიხედვით განმარტებული დასაბუთებულ პირთა საშუალო რაოდენობის ფაქტობრივ დასაბუთებულ პირთა რაოდენობის მიხედვით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მოთმარებლის ხელმოწერა:

მ.ა.





აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

ზღვანის დამართი ფორმა №2-1

ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კოდი:

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2015 წლის 01 იანვრისათვის თვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსუ რი აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებუ ლი გვერდით	დაზუსტებუ ლი გვერდით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადხდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	I. არაფინანსური აქტივები	31	68,375.00	68,375.00	60,606.00	60,606.00	60,606.00
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	-	-	60,606.00	60,606.00	60,606.00
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	-	-	7,193.00	7,193.00	7,193.00
040	1.1.1.1 სავსებრეზელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასავსებრეზელი შენობები	31112					
060	1.1.1.3 საგზაო შენობები	31113					
070	1.1.1.4 ტუბები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115					
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების	31118					
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119					
130	1.1.1.10 მიწის ნაკვეთები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111			7,193.00	7,193.00	7,193.00
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	-	-	53,413.00	53,413.00	53,413.00
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121			35,286.00	35,286.00	35,286.00
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122			18,127.00	18,127.00	18,127.00

180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტურული ძეგლები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 დოკუმენტები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	-	-	-	-	-
240	1.2.1 სატრანსპორტო მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 წვდომის და მასალის	31221					
270	1.2.2.2 დამამუშავებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 მზადყოფნა რეალიზაციისათვის შექმნილი	31224					
300	1.3 საბიუჯეტო	313	-	-	-	-	-
310	1.4 არასამთავრობო აქტივები	314	-	-	-	-	-
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ზღვრითი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 სადამამუშავებელი სატექნიკო ხარჯვალის	31431					
360	1.4.3.2 სხვა დამამუშავებელი სატექნიკო აქტივები	31432					
370	1.4.4 არასამთავრობო არამატერიალური	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მოთხოვნი შედეგები:





აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკახო ოპერაციების შესახებ
ორგანიზაციის დასახელება: ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პერიოდული: წლიური, კვარტალური
2015 წლის 01 იანვრისათვის
ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკახო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
020	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
030	1.1.1 ვალუტა და ფუნდები	3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გრძელვადიანი აქტივები	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 სააქციო ტექნიკური რჩევები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	1.1.7 სხვა ფინანსური დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
110	1.2.1 ვალუტა და ფუნდები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გრძელვადიანი აქტივები	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 სააქციო ტექნიკური რჩევები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა ფინანსური დავალიანებები	3228					

180	1.3 მიმდგრადი ოქრო და ნაცისხილის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33	0	8256	8255	8255	8255
200	2.1 საშინაო	331	0	8256	8255	8255	8255
210	2.1.1 ვალუტა და ფუნდები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გრძელვადიანი აქტივები	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მ.ს. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სააქციო ტექნიკური რჩევები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კაპიტალური დავალიანებები	3318		8256	8255	8255	8255
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0
290	2.2.1 ვალუტა და ფუნდები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გრძელვადიანი აქტივები	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მ.ს. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სააქციო ტექნიკური რჩევები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კაპიტალური დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მთავარი სპეციალისტი

ბ. ა.





აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

ზღაპრის დასაბუთო ფორმა №

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2015 წლის 01 იანვრისათვის

კოდი _____

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დღეგრძეობა	თანხა	ანგარიშის №	კრედიტის	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1233201
7100	მომუშავეთა პენსიონატები	1162578	4100	ბიუჯეტური მიღებული დანახარჯები	7633177
7200	საბუნების და მომსახურება	307087	4200	ბიუჯეტური მიღებული დანახარჯები პენსიონატების და დანახარჯების გასაღებად	
7300	მართლმადიდებელი ეკლესიის მომსახურება	51713	6000	შემოსულები	
7310	მ.შ. ფრანკური ეკლესია	51713	6300	მ.შ. ურსულები	4272
7400	პროცენტები				
7500	საბუნების				
7600	განათლება				
7700	საგარეო ურთიერთობები	42729			
7800	სხვა ხარჯები	5673716			
	აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	134776		აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	0
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები	134776	3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600-2000	არაფინანსური აქტივები		1600-2000	არაფინანსური აქტივები	
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსულების საკანო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	134776			
	საღირებულო ხარჯები	7372599		საღირებულო ხარჯები	7637449
	სულ ჯამი **	7372599		სულ ჯამი ***	8870650
	ნაშთი პერიოდის ბილანსი			ნაშთი პერიოდის ბილანსი	1498051.00

* აღნიშნულ პერიოდში აღიწერეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსულებიდან და სხვა შემოსულებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** საღირებულო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ესტეტიკური ხარჯები

*** საღირებულო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ესტეტიკური ხარჯები

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

მოთმარებელი

მ.ა.